



ქართული
ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

შორენა ჯაფარიძე

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი 1905-1907 წლების
რევოლუციურ საქართველოში

სპეციალობა 07-00-01 საქართველოს ისტორია

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ავტორ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი 2003

3(479.22) „13“ + 281.97



ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრაზე

სანეცნეო ხელმძღვანელი: ქეთევან ჰავლიაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: დიმიტრი შველიძე
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოთარ ჯანელიძე
ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2003 წლის „5“ „მაის“ „14“ საათზე.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს
ისტორიის სადისერტაციო საბჭოს H07.01C№1 სხდომაზე.
მისამართი: 380028, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში
მისამართი: 380047, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2

ავტორეფერატი დაგზავნილია 2003 წლის „1“ „მაის“

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ნათელა ვაჩნაძე ნათელა ვაჩნაძე



საკვლევი თემის აქტუალობა. ნებისმიერი ერის ისტორიის მეცნიერული შესწავლა წარმოუდგენელია ეკლესიის ისტორიის გარეშე და პირიქით, რადგან ეკლესიის ისტორია საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთ ნაწილს, მზარეს წარმოადგენს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის პრობლემა განსხვავებულ ეპოქებში სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული. ავტოკეფალიის საკითხი ქართველი ერის ისტორიაში ყოველთვის მის ეროვნულ თავისთავადობას უკავშირდებოდა. აქედან გამომდინარე ამ საკითხს არც დღეისათვის დაუკარგავს თავისი აქტუალობა. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია და მისი დასასრული მხოლოდ XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა. საღისერტაციო ნაშრომში ჩვენს მიერ შესწავლილი საკითხი მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების თანამედროვე ეტაპზე, რადგან საქართველოს ეკლესიის ისტორია ტრადიციისამებრ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში უნდა იქცეს მისი ეროვნული იდეოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენად.

გამოკვლევის საგანია საქართველოს ეკლესიის ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლა, როგორცაა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა, რომლის თავისთავადობის გაუქმებაც თვითმპყრობელური რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის ძალისხმევით განხორციელდა.

გამოკვლევის მიზანი. ჩვენი ქვეყნის ისტორიის მთელ მანძილზე საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას განუზომლად დიდი ადგილი ეკავა ქვეყნის პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე წარმოუდგენელია საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლა ეკლესიის როლის სრულყოფილი გააზრების გარეშე საქართველოს სახელმწიფოებრივი საძირკვლის განმტკიცების, კულტურული აღორძინებისა და ერის სულიერი ამაღლების საქმეში. ზემოაღნიშნული პროცესის შეჩერებამ საზოგადოების წინაშე წამოსწია ეროვნული ეკლესიის თავისთავადობის პრობლემა. ამით იყო განპირობებული, რომ წინამდებარე ნაშრომში მიზნად დავისახეთ მძლავრი ავტოკეფალური მოძრაობის გაანალიზება. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის წინა ეტაპები არაერთი მეცნიერის მიერ არის მონოგრაფიულად შესწავლილი, მაგრამ ამ ბრძოლის XX საუკუნის დასაწყისში მიმდინარე თავისებურებანი დღემდე არ ვახლავთ მონოგრაფიულად გაშუქებული, ჩვენი ნაშრომის მიზანია ამ თავისებურებათა წარმოჩენა და მისი შედარებით ანალიზი წინა ეპოქაში მიმდინარე პროცესებთან. ამასთან საკვალიფიკაციო ნაშრომში მიზნად დავისახეთ აღნიშნული მოძრაობის მიერ წამოყენებული მოთხოვნის მიმართ საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულების წარმოჩენა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ისეთ მღელვარე, დაძაბულ და პოლიტიკური კატაკლიზმებით აღსავსე ეტაპზე, როგორც 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდი იყო საქართველოში.

სამეცნიერო სიახლე. საღისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლე არის ის, რომ შევეცადეთ სარქივო მასალების, პერიოდული გამოცემებისა და ცალკეულ გამოკვლევებზე დაყრდნობით წარმოვეჩინა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ქართველი სამღვდელოების მიერ წამოწყებული მოძრაობა ავტოკეფალიის მოპოვებისათვის; გვეჩვენებინა, რომ სამღვდელეობა ავტოკეფალიის საკითხის გადაჭრას ცდილობს მთლიანად საქართველოს საზოგადოებრიობასთან ერთად და ამ საკითხს უკავშირებს საერთო სახალხო დემოკრატიულ მოძრაობას. აქვეა მცდელობა ქართველი საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენებისა (თავადაზნაურობა, ინტელიგენცია, გლეხობა) და პოლიტიკური პარტიების, ასევე, რუსი ერის წარმომადგენელია (როგორც საქართველოში მოღვაწე რუსების, ისე იმპერიაში მოღვაწე რუსი საერო და სასულიერო მოხელეებისა და ინტელიგენციის) პოზიციის გარკვევისა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხისადმი; ერთ მთლიანობაშია გააზრებული ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნისადმი საქართველოს მოსახლეობაში არსებული საზოგადოებრივი აზრი.





საკითხის ისტორიოგრაფია და წყარომცოდნეობითი ბაზა. საქართველოს ეკლესიისა და საეპარქოსოს ისტორიის ჩვენს მიერ მონიშნული პერიოდის გაშუქებას არაერთ, საყურადღებო ნაშრომში ჰქონდა ადგილი. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ მკვლევართა ნაშრომებს, რომლებიც რევოლუციური მოძრაობის პარალელურად აქვეყნებდნენ თავიანთ გამოკვლევებს, სადაც ისინი წარსული ისტორიული სინამდვილიდან გამომდინარე ასახოებებს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნის სამართლიანობას. ქართველი მკვლევარებიდან, რომლებმაც 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში აქციეს თავიანთი შესწავლის საგნად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია და დაასაბუთეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სამართლიანობა, საყურადღებოა: ივ. ჯავახიშვილის, ალ. ცაგარელის, ნ. მარის, ალ. ხაჩანაშვილის, თ. ჟორდანას, ს. გორგაძის, კირიონ სამაგლიშვილის, კ. ცინცაძის, მ. კელენჯერიძის და სხვათა ნაშრომები.

ჩვენთვის საინტერესო პრობლემის შესწავლაში უაღრესად მნიშვნელოვანია რუსი სწავლულის ნ. დურნოვის ნაშრომები¹, რომლებშიც ავტორი ვარდა იმისა, რომ საქართველოში არსებული სასულიერო უწყების რუსიფიკატორული პოლიტიკის ნათელ სურათს გვიხატავს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის განხორციელების თავისებულ გზას სთავაზობს ქართველობას, რაც საქართველოს ეკლესიისათვის სრული თავისუფლების განხორციელების საშუალებას არ იძლეოდა.

ალ. ცაგარელის ნაშრომებში² ის დებატებია ნაჩვენები, რომლებიც მიმდინარეობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით წმინდა სინოდთან არსებული წინასაეკლესიო სათათბიროს II განყოფილების სხდომებზე. ნაშრომები პოლემიკური ხასიათისაა და უხვ მასალას შეიცავენ, როგორც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესახებ, ასევე რუსი საზოგადოებრიობის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხისადმი დამოკიდებულების გარკვევის თვალსაზრისითაც.

ჩვენი საკვლევი პერიოდის შესახებ გარკვეულ მასალას შეიცავს ევ. ნიკოლაძის წიგნი³. ნაშრომის ბოლო თავებში მოკლედია მოთხრობილი, თუ როგორ მიმდინარეობდა პეტერბურგში წინასაეკლესიო სათათბიროში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებულ პრობლემათა განხილვა. ავტორს აქვე მოაქვს საზოგადო სხდომებზე ქართველ სასულიერო პირთა და მეცნიერთა მიერ წაკითხული მოხსენებების შინაარსი.

აღნიშნული პერიოდის საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხების გაშუქებას საბჭოთა ისტორიოგრაფიაშიც გარკვეული ადგილი ეკავა. ამ მიმართულებით შეიქმნა მთელი რიგი ნაშრომები, სადაც ნათლად არის გაანალიზებული რუსეთის იმპერიის აგრესიული საეკლესიო პოლიტიკა, სახელმწიფოსა და სასულიერო უწყების ერთობლივი ძალისხმევა საქართველოში თავიანთი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სარწმუნოებრივი მიზნების განხორციელებისათვის, მათ მიერ რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, მაგრამ მკვლევართა ყურადღების მიღმა რჩებოდა ქართველი სამღვდლოების ძალისხმევა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეკლესიის თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ამ ორი მოვლენის ერთობლივად გააზრების საქმეში. ქართველ სასულიერო ფენას აღნიშნული ნაშრომების ავტორნი მხოლოდ კონტრევოლუციურ და ანტიდემოკრატიულ ძალად წარმოგვიდგენდნენ. საქართველოს ეკლესიის თავისუფლებისათვის არც ქართველი საზოგადოების სხვა ფენების ბრძოლა იყო ობიექტურად წარმოჩენილი. ისინი ზალხის მასებსა და პროგრესულ

¹ დურნოვ ნ. ნ., ქართული ეკლესიის ბედი, ჟურ. ვახთაძე, 1990, №10; Дурново Н. Н., Мутный источник, или по поводу речи Г. Пуришкевича в Государственной Думе по делам Грузинской церкви, М., 1909; Дурново Н. Н. Исторический очерк автокефальных церквей: Иверской и имеретинской, М., 1910.
² Цагарелин А. А., Статьи и заметки по грузинскому церковному вопросу, СПб., 1915.
³ ნიკოლაძე ევ., საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთ., 1918.

ინტელიგენციას ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად საზავდენ. ამგვარი სასიათის ნაშრომებში, რა თქმა უნდა, პრობლემის დასმა და გადაწყვეტა ხდებოდა არსებული იდეოლოგიის ჩარჩოებში. კომუნისტური რეჟიმის პირობებში ათეისტურ მსოფლმხედველობაზე დამყარებული ისტორიული მეცნიერება საქართველოს ეკლესიის კვლამარტი ისტორიის გაშუქების შესაძლებლობებს ბუნებრივია მოკლებული იყო, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომები უამრავ საინტერესო წყაროებს მოიცავენ, რომელთაც ჩვენთვის საინტერესო საკითხების ახლებურად გააზრებაში უდიდესი დახმარება გააკვიწის.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში საქართველოს საეკლესიოს კონტრეკლესიური საქმიანობასა და ქართველი სამღვდლოების მოძრაობას ეხება ბ. ლომინაძის ნაშრომი.⁴ ავტორი სამღვდლოების ბრძოლას ავტოკეფალიისათვის აფასებს, როგორც მცდელობას თვითგადაარჩენისა და შერყეული ავტორიტეტის აღდგენისათვის, რომელიც მხოლოდ სასულიერო წოდების ინტერესებს ემსახურებოდა. მიუხედავად აღნიშნულისა, ბ. ლომინაძის წვლილი სრულიად განსაკუთრებულია ზოგადად საქართველოს ეკლესიის ისტორიის გაშუქებაში. მან ჩვენთვის საინტერესო პერიოდის ბევრი საყურადღებო საკითხიც წამოსწია წინარეგში და საინტერესოდაც გააშუქა რიგი საკითხები, რის საშუალებასაც კი არსებული იდეოლოგიური რეჟიმი იძლეოდა.

უაღრესად მდიდარი საარქივო დოკუმენტური მასალით არის ჩვენთვის საინტერესო მირიან ხუციშვილის გამოკვლევა.⁵ ავტორი ჩვენს მიერ მონიშნულ პერიოდსაც სათანადოდ ეხება და უხვ საარქივო მასალაზე დაყრდნობით სასულიერო უწყების კონტრეკლესიური საქმიანობის თვალსაჩინო სურათს იძლევა. ბუნებრივია, ჩვენს მიერ დასმული პრობლემა ცალმხრივად და ტენდენციურადაა ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტილი.

ბოლო პერიოდის ქართველი მეცნიერი XIX-XX საუკუნეების საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებს განიხილავენ საქართველოს ისტორიასთან კონტექსტში, ხოლო ავტოკეფალიისათვის ბრძოლას, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილს და ქართველ სასულიერო მოღვაწეთა როლსაც სათანადოდ წარმოაჩენენ ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლაში. ქეთევან პავლიაშვილის მონოგრაფია⁶ ჩვენთვის დამაკავლიანებელი ნაშრომი აღმოჩნდა. ჩვენ ამ ნაშრომის ერთ-ერთ თავში („ქართველი სამღვდლოება 1905-1907 წლების რევოლუციაში“) დასმული პრობლემის სიღრმისეულ შესწავლას შევეცადეთ. მონოგრაფიაში მდიდარ საარქივო მასალაზე დაყრდნობით რიგ სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრულია საქართველოს საეკლესიოს ადგილი და მნიშვნელობა რუსეთის იმპერიის საეკლესიო და პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, წარმოჩენილია საეკლესიოს პოლიტიკა საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მიმართ. ქართველი სამღვდლოების ადგილი და როლი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ამ საკითხთან საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დაკავშირებული.

ბოლო დროის გამოკვლევათა რიცხვშია ა. ვარაზაშვილის ნაშრომი.⁷ ავტორი გამოჩენილი ქართველი მეცნიერების საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის დეაწლსა და დამსახურებას ეხება ჩვენთვის საინტერესო პერიოდშიც.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს ჩვენთვის საყურადღებო პერიოდში ნაწილობრივ შეეხნენ თავიანთ ნაშრომებში ალ. ბენდიანიშვილი,⁸ ს. ვარდოსანიძე,⁹ დ. შველიძე,¹⁰ შ. ბაღრიძე.¹¹

⁴ ლომინაძე ბ., ეკლესიის რეაქციური როლი 1905-1907 წლების რევოლუციაში, თბ., 1959.

⁵ ხუციშვილი მ., საქართველოს ეკლესიის სოციალ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბ., 1987.

⁶ პავლიაშვილი ქ., საქართველოს საეკლესიო 1900-1917 წლებში, თბ., 1995.

⁷ ვარაზაშვილი ა., ქართველი ისტორიკოსები საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში (XX საუკუნის დასაწყისი, 1917 წლამდე), თბ., 2000.

საინტერესო მასალა მოვიპოვეთ მემუარული ხასიათის ლიტერატურული ცენტრის,¹² მ. ბოლქვაძის,¹³ გ. ჟურელის,¹⁴ ვლ. ანბეტელის,¹⁵ ე. თაყაიშვილის,¹⁶ თ. სახოკიას,¹⁷ გ. ლასნიშვილის¹⁸ მოვლენებში ჩვენთვის საინტერესო საკითხის ამსახველ უხვ მასალას შევხვდით.

ნაშრომში ფართოდაა გამოყენებული XX საუკუნის დასაწყისის პერიოდულ გამოცემებში მოპოვებული მასალა. განსაკუთრებით სასულიერო ხასიათის ჟურნალ-გაზეთებში შევხვდით ჩვენთვის საინტერესო პრობლემის ამსახველ უხვ მასალას. გაზეთი „ნიტყვა“ (1906) იყო ის ტრიბუნა, რომელიც ავტოკეფალიისათვის მებრძოლმა ქართველმა სამღვდლოებამ თავიანთი იდეების პროპაგანდისათვის გამოიყენა. აღნიშნულმა გაზეთმა განსაკუთრებული სამსახური გაავიწია ქართველი სამღვდლოების მისწრაფებების, აზრების, იდეების, მიმდინარე საზოგადოებრივ მოვლენებთან მათი დამოკიდებულების გარკვევის თვალსაზრისით; სასულიერო ხასიათის ჟურნალ „მწყემს“ (1889-1910) მართალია ოფიციალური სტატუსი ჰქონდა, მაგრამ 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში მისი პროგრესული ხასიათი და ეროვნული იდეალებისადმი ერთგულება აშკარაა; საქართველოს საეზარქოსოს ოფიციალურ გამოცემაში „საქართველოს საეზარქოსოს სასულიერო მოამბე“ (1891-1906) ჩვენთვის საინტერესო მრავალი მასალა მოვიპოვეთ, რომელმაც სასულიერო უწყების პოზიციასთან ერთად რევორმატორი ქართველი სამღვდლოების მისწრაფებების წარმორჩენის საშუალებაც მოგვცა.

საყურადღებო მასალებსა და ცნობებს შეიცავენ XX საუკუნის დასაწყისის საერო ხასიათის ჟურნალ-გაზეთებიც. ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ აზრთა მრავალფეროვნება სხვადასხვა პარტიული ხასიათის გამოცემათა საფუძველი ხდებოდა. საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიების საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხისადმი დამოკიდებულების გარკვევის თვალსაზრისით გაავიწია სამსახური აღნიშნულმა გამოცემებმა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ფასეულია მასალა, რომელიც მოვიპოვეთ ჟურნალ-გაზეთებში: „ივერია“, „საქართველო“, „ცნობის ფურცელი“, „შრომა“, „მოგზაური“ და სხვ., სადაც მძაფრი პოლემიკა იყო გაჩაღებული ჩვენთვის საინტერესო პრობლემების ირგვლივ. ქართველი მოღვაწენი საქართველოს ეკლესიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის მიზეზებს იკვლევდნენ და მათი გადარჩენის გზებს ეძებდნენ. აღნიშნული პერიოდული გამოცემები ნათლად წარმოაჩენენ იმ აზრთა მრავალფეროვნებას და რადიკალურად განსხვავებულ მიდგომას საქართველოს ეკლესიის წინაშე მდგარი პრობლემების მიმართ, რომელიც არსებობდა 1905-1907 წლების საქართველოში მოზღვავებულ უხვი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეების ფონზე.

უადრესად დიდი სამსახური გაავიწია რუსეთის იმპერიაში გამოძავლმა როგორც საერო, ისე სასულიერო ხასიათის პერიოდულმა გამოცემებმაც, რომლებიც კი ხელმისაწვდომი აღმოჩნდა ჩვენთვის. ეს გამოცემები განსაკუთრებით რუსი საზოგადოების ქართული ავტოკეფალური

⁸ ბენდანიშვილი ა. ს., ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1821 წწ., თბ., 1980.

⁹ ვარდოსანიძე ს., კირიონ II სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი (1917-1918), ოზურგეთი, 1993;

¹⁰ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდი (1818-1921), თბ. 2000.

¹¹ შევლიძე დ., პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში (ფელერალისტები), თბ., 1993.

¹² ბაღრიძე შ., ი. ჭავჭავაძე და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი, ჟურ. ჯვარი ვაზისა, 1987.

¹³ ცინცაძე კ., ჩემი მოვლენებიდან, თბ., 2001; მოვლენა ილიაზე, ჟურ. მათობა, №2, 1985.

¹⁴ ბოლქვაძე მ., ახლო წარსულიდან ილია ჭავჭავაძე რუსეთში (1906-1907წწ.), ჟურ. განათლება, №3-4, 1908.

¹⁵ ჟურელი გ., ილიასთან შორეული დგომით, გ. შარაძის წიგნი - საქართველოს მზე და სიყვარული აღბობინის კუნძულზე, თბ., 1986.

¹⁶ ანბეტელი ვლ., ილია ბრძენის გარშემო, გ. შარაძის წიგნი - საქართველოს მზე და სიყვარული აღბობინის კუნძულზე, თბ., 1986.

¹⁷ თაყაიშვილი ე., მოვლენები, რჩეული ნაწერები, ტ. 1, თბ., 1996

¹⁸ სახოკია თ., ჩემი საუკუნის აღმჩანებები, თბ., 1984.

¹⁹ ლასნიშვილი გ., მემუარები, თბ., 1992.



მოდრაობის მიმართ დამოკიდებულების გარკვევის თვალსაზრისით დაგეგმვარა. განსაკუთრებით ღირებული მასალა შეგვხვდა გამოცემებში: „ცერკოვნიე ველომოსტი“, „კოპროსნი“ „უიზნი“ „ესპეტერბურსკიე ველომოსტი“, „რუსი“ და სხვ., სადაც რუს სწავლულებთან (ნ. დურნოვო, ი. სოკოლოვი და სხვ.) ერთად ქართველი მეცნიერები (ნ. მარი, ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი) და სასულიერო მოღვაწეები (ეპისკოპოსები - კირიონი, ლეონიდი, დიმიტრი) ბეჭდვადნენ თავიანთ წერილებს და რუსი საზოგადოებრიობის ჩვენში მიმდინარე ავტოკეფალური მოძრაობის მიზნებში გარკვევას ცდილობდნენ. რუსეთის დემოკრატიულმა პრესამ (ჟურნ. „კოპროსნი“ „უიზნი“) ფართო ადგილი დაუთმო საქართველოში ეკლესიის თავისუფლებისათვის წამოწყებულ მოძრაობის განხილვას, სადაც ქართველი სამღვდელოების უკომპრომისო ბრძოლა ავტოკეფალიისათვის, მისი გამორჩეულად დემოკრატიული მისწრაფებები და მებრძოლი ხასიათი მაგალითად დაუსახა რუსეთის სამღვდელოებას პატრიარქობის ინსტიტუტის აღდგენისათვის ბრძოლაში

საკვალიფიკაციო ნაშრომში წარმოდგენილი დებულებები ძირითადად საარქივო მასალათა მეცნიერული შეჯერების შედეგია. საკლდევი თემისათვის უხვი მასალაა დაცული საქართველოს სხვადასხვა არქივსაცავებში. ჩვენი გამოყენებით საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივის სასულიერო უწყების ფონდებში დაცული დოკუმენტები. საქართველოს საგზარქოსოს კანცელარიის ფონდში (ფ. 488) მიკვლეული მასალა ძირითადად ქართველი სამღვდელოების დემოკრატიული ხასიათის მოძრაობაში მონაწილეობის და მათ მიმართ განხორციელებული რეპრესიების მკაფიო სურათს ჰქმნის. ჩვენი ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ამავე არქივის კირიონ საბაგლიშვილისა (ფ. 1458) და ლეონიდ ოქროპირიძის (ფ. 1459) პირად ფონდებში დაცულმა დოკუმენტებმა.

ჩვენთვის განსაკუთრებით მდიდარი და ღირებული მასალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივის პირად ფონდებში აღმოჩნდა. კ. საბაგლიშვილის, ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, ვ. კარბელაშვილის, თ. ჟორდანიას, ალ. ხახანაშვილის, ა. ჯორჯაძის პირად ფონდებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლის ამსახველი უხვი მასალა წარმოდგენილი.

სადისერტაციო ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომი მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრაზე, სადაც შედგა ნაშრომის აპრობაცია. ნაშრომი საკანდიდატო დისერტაციად დამტკიცებულ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე (1996 წ. 3 ივლისი, ოქმი №9). ნაშრომის ცალკეული ნაწილები წაკითხულ იქნა რესპუბლიკური მნიშვნელობის სამეცნიერო კონფერენციებზე და ქვეყნდებოდა ცალკეულ სამეცნიერო გამოცემებში.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და შინაარსი. სადისერტაციო ნაშრომი (146 გვერდი) შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. აქედან მესამე თავი მოიცავს ხუთ პარაგრაფს.

შესავალ ნაწილში (3-11) განხილულია სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა, საგანი, სამეცნიერო კვლევის მიზანი, სიახლე, წყაროთმცოდნეობითი და ისტორიული ბაზა; მიმოხილულია დასმული საკითხის ირგვლივ არსებული წერილობითი წყაროები, პერიოდულ პრესაში დაბეჭდილი პუბლიცისტური წერილები; შეძლებისდაგვარად წარმოჩენილია ყველა იმ მკვლევარის ღვაწლი, რომელთაც ჩვენს მიერ შესწავლილი საკითხის ირგვლივ ჰქონდათ სამეცნიერო გამოკვლევები.

თავი პირველი - „რუსეთის იმპერიის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში“ (12-25) სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში საუბარია იმის შესახებ, რომ საქართველოს მიმართ რუსეთის იმპერიის საეკლესიო პოლიტიკის მთავარ მიზანს თვითმპყრობეულ-კოლონიური რეჟიმის განმტკიცება, მისთვის კავკასიაში იდეოლოგიური საყრდენის შექმნა და

XX საუკუნის დასაწყისში დაწყებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შედეგებისაგან რუსეთის სახელმწიფოს დაცვის უზრუნველყოფა შეადგენდა და გატარებული საუკუნის რეფორმებიც აღნიშნულ მიზანს ემსახურებოდა.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საქართველოს ეკლესიაც ეროვნული გადაგვარების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. 1811 წელს უქმდება საქართველოს ეკლესიის ავტორკეფალია და იცლება იგი ჯერ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორით (1815 წ.), ხოლო მოგვიანებით საეკლესიო სოციალური ინსტიტუტით - საქართველოს საეპარქოსოთი.

ახალი საეკლესიო ორგანიზაცია თავის ძირითად დანიშნულებას საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის გადაგვარებაში ხედავდა. საქართველოს საეპარქოსოს პოლიტიკა ეკლესიასთან ერთად ეროვნული კულტურის ყველა სფეროს შეეხო.

საქართველოს საეპარქოსოს უნდა განეხორციალებინა საქართველოს ეკლესიის რეფორმა და იგი საბოლოოდ დაექვემდებარებინა რუსეთის სახელმწიფოსათვის. რუსეთის ხელისუფლება თავისი რელიგიურ-მონარქისტული იდეოლოგიით ქართველი ერის იმპერიის მრავალეროვან მოსახლეობასთან სულიერი შერწყმის პროცესის დაჩქარებას იმედოვნებდა. ამ მიზანს ემსახურებოდა ის ეკონომიკური და კულტურული რეფორმები, რომელიც რუსეთის სასულიერო უწყებამ საქართველოს ეკლესიაში გაატარა.

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან დაასრულა ეკლესიის უძრავ-მოძრავი ქონების სახელმწიფო ხაზინაში გადასვლის პროცესი, სამღვდლოებას კი ხელფასი ამავე ხაზინიდან დაენიშნა. ამ ღონისძიებით რუსეთის სახელმწიფო საუკუნეების განმავლობაში დავროვილი საქართველოს ეკლესიის უზარმაზარი ქონების მესაკუთრე გახდა და ამ ქონების მართვის სადავეები და მისგან მაქსიმალური მოგების ამოღების შესაძლებლობები მის ხელში აღმოჩნდა.

საქართველოს ეკლესიაში გატარებული ეკონომიკური რეფორმა უნდა განხორციელებულიყო ქართული ეპარქიებისა და სასულიერო წოდების რაოდენობათა შემცირების გზითაც. დნიშნულის შედეგად, თუ ადრე ქართლსა და კახეთში 13 ეპარქია და 9 საარქიმანდიტო იყო, რეფორმის შემდეგ დარჩა 2 ეპარქია და 5 საარქიმანდიტო, ხოლო დასავლეთ საქართველოში არსებული 9 ეპარქია სამამდე შემცირდა. ავტორკეფალიის გაუქმებიდან 1907 წლამდე საქართველოში 15 მონასტერი და 800-ზე მეტი ეკლესია დაიხურა.

საქართველოს საეპარქოსოს მიერ საქართველოში გატარებული ანტიეროვნული იდეოლოგიური რეფორმის შედეგი იყო ის, რომ მან აქტიურად დაიწყო ეროვნულ სასულიერო-საგანმანათლებლო კერათა რუსიფიკაცია. რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოში სემინარია და მრავალი სასულიერო სასწავლებელი იქნა დაარსებული, რომელთა ძირითად მიზანსაც მთავრობის პოლიტიკის ერთგული სასულიერო წოდების აღზრდა წარმოადგენდა. რუსეთის ხელისუფლება საქართველოს საეპარქოსოს განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ქართული ენის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლაში. სწორედ ამ უწყების ძალისხმევით შედგებოდა იყო, რომ საქართველოს სასულიერო სემინარიებსა და სასწავლებლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ქართველი ბავშვებისთვის ქართული ენის ცალკე საგნად სწავლის უფლებაც კი უკიდურესად შეზღუდული იყო.

საეპარქოსოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებათაგან განსაკუთრებით სახიფათო იყო ის როლი, რომელსაც იგი თავისი პოლიტიკით ასრულებდა რუსეთის ხელისუფლების მიერ ქართველთა სრული ასიმილაციის მიზნით ჩამოსახლებულ რუს სექტანტებს, რუს მართლმადიდებელ მრევლსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დაპირისპირებულობის გასამძაფრებლად, მათ შორის სიძულვილისა და გაუტანლობის დასათესად. რუსი მრევლის მომრავლება საქართველოში და ქართველი სამღვდლოებისადმი მათი სრული გაუცხოება თვითმპყრობელობას რუსული ეკლესიების გაზრდის გამართლების საფუძველს აძლევდა, ხოლო რუსული ეკლესიის მეშვეობით ხელისუფლებას გამიზნული ჰქონდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ეროვნული ნიადაგის გამოცლა და მათი სარწმუნოებრივი გადაგვარება.



რუსეთის ხელისუფლებამ ქართული ეროვნული სხეულის დაშლისა და დაქვემდებარების მიზნით გარკვეული პოლიტიკა შეიმუშავა არამართლმადიდებელ ქართველებს შინაგან შტეცდა იმ აზრის განმტკიცებას, რომ ქართველი ერი ყოველთვის მტკიცე მართლმადიდებელი ერი იყო და, ამდენად, სხვა რელიგიის აღმსარებელი ქართველების - მაჰმადიანების, კათოლიკეების და გრიგორიანელების ქართველობას არ იწყნარებდა.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიზანს კავკასიის ხალხებზე ქართული კულტურის გავლენის შემცირება და მათი რუსულენოვან მოსახლეობასთან შერწყმა წარმოადგენდა. ამ მიზნის განსახორციელებლად საეგზარქოსო ღვთის სიტყვის რუსულ ენაზე ქდაგებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. გრეთვე აუცილებლობად მიაჩნდა კავკასიის ხალხებისათვის, უპ. ყოვლისა კი აფხაზებისა და ოსებისათვის ანბანის შექმნა, რაც მათი ქართული კულტურისაგან და საბოლოო ვაჰში, ქართული სახელმწიფოებრივი ერთეულისაგან ჩამოცილებას ისახავდა მიზნად. რუსეთის იმპერიის აფხაზეთისადმი განსაკუთრებული ინტერესის შედეგი იყო აქ გატარებული საეკლესიო პოლიტიკა. აფხაზეთში მოღვაწე ქართველ სამღვდლოებას საეგზარქოსოს ხელისუფლება ყოველმხრივ ავიწროვებდა და ცდილობდა მისი რუსი ეროვნების წარმომადგენლებით შეცვლას. რუსეთის ხელისუფლება აფხაზეთში ქართული ელემენტის ეკონომიურად დაუძღურებს, მისი ბოგანოდ გადაქცევის მცდელობასთან ერთად, მათ ვონებრივ და ზნეობრივ დაქინებასაც ცდილობდა. ამისათვის მთავრობამ სკოლა და ეკლესია აირჩია.

თავი მეორე — „საქართველოს საეგზარქოსო 1905-1907 წლების რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში“ (25-42)

მეორე თავში წარმოჩენილია ის ღონისძიებები, რომელსაც საქართველოში არსებული სასულიერო უწყება ახორციელებდა დაწყებული რევოლუციის წინააღმდეგ, როგორც აღნიშნული იყო რუსეთის ხელისუფლება ავტოკეფალიის გაუქმებიდან მოყოლებული ფართოდ იყენებდა ეკლესიის შესაძლებლობებს დემოკრატიული თუ ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. საერო მთავრობისა და სასულიერო უწყების ეს კავშირი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის დროს საქართველოში მიმდინარე მძლავრი დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში. ამ დროს ეს ბრძოლა უფრო პრაქტიკულ ხასიათს ატარებდა. შექმნილ ვითარებაში სასულიერო ხელისუფლება შეეცადა თავისი შესაძლებლობების ყოველმხრივ გამოყენებას. ამ პერიოდში სასულიერო უწყება თვითმპყრობელობის ყველაზე სიმძვლე დასაყრდენს წარმოადგენდა. იგი ებრძოდა რევოლუციურ იდეოლოგიას და ამ საქმეში მკაცრ მეთოდებსაც მიმართავდა. თვითმპყრობელობა იმედოვნებდა, რომ სამღვდლოების ძალისხმევით შესაძლებელი იქნებოდა მრევლში სიწყნარისა და სიმშვიდის აღდგენა.

რუსეთის ხელისუფლება და სასულიერო უწყება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ეკლესია-მონასტრებში ანტირევოლუციური პროპაგანდის გაძლიერებას. ეროვნულ-განმათავისუფლებელ და რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმულ პირთ მკაცრად უსწორდებოდა, ასამართლებდა მათ, გადაჰყავდა ნაკლებშემოსავლიან ადგილებში და ა. შ.

საარქიეო მასალებსა და იმდროინდელ პერიოდულ პრესაში ხშირად შევხვდებით ცნობებს მთავრობის საწინააღმდეგო საქმიანობაში შემჩნეული და ოპოზიციურად განწყობილი მღვდლების დაპატიმრებისა და მათ მიმართ მკაცრი რეპრესიული ღონისძიებების განხორციელების შესახებ. საარქიეო მასალებში არის არა მარტო ცალკეული მღვდლების, არამედ მთელი ქართველი სამღვდლოების მიმართ წაყენებული ბრალდებების შემცველი დოკუმენტები. ესენია საიდუმლო შეტყობინებები, რომლებიც ამ უკანასკნელთ სახელმწიფოს საწინააღმდეგო ორგანიზაციებში საქმიანობასა და მათ შექმნაში სდებს ბრალს. დაპატიმრებული მღვდლების საქმეებს ეგზარქოსო სინოდს წარუდგენდა და იქ იღებდნენ გადაწყვეტილებას მათი შემდგომი ბედის შესახებ.

საეგზარქოსოს ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა არსებული პოლიტიკური ყოვლილებისა და კანონების დაცვის აუცილებლობის შეგნების დანერგვას მრევლში. ამისათვის



იბეჭდებოდა და მოსახლეობაში ვრცელდებოდა ათასობით ფურცელი და ბროშურა, სიმბოლოები, სიწუნარის, არსებულ ვითარებასთან შეგუების მოწოდებით, მეფის აუცილებლობისა და მარადიულობის შეგნების სურვილით გამოსვალული.

საქართველოს საეკლესიო რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის ხანაში მოსწავლეთა შორის მთავრობისათვის არასასურველი იდეოლოგიის თავიდან აცილების მიზნით განსაკუთრებით გაამაზვილა ყურადღება სასულიერო სასწავლებლებზე. მაკარად კონტროლდებოდა სასულიერო ბიბლიოთეკები, იკრძალებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების შექმნა. განსაკუთრებით მძაფრი იყო ბრძოლა იმ მასწავლებლებისა და მოსწავლეების წინააღმდეგ, რომლებიც მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებში იყვნენ შემჩნეულნი. მათ ითხოვდნენ სასწავლებლიდან და ამის შემდეგ ისინი სხვა სასწავლებლებში სამსახურის დაწყების ყოველგვარ უფლებასაც კარგავდნენ. საარქივო მასალებში უხვად გვხვდება სასულიერო სასწავლებლებიდან დათხოვილ მასწავლებელთა და მოსწავლეთა გვარები.

რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში საეკლესიო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა რელიგიური ორგანიზაციებისა და საზოგადოებების შექმნის საკითხს, რომელთა მთელი საქმიანობა ანტიქართულ ხასიათს ატარებდა და ქართველ ხალხში მორჩილების დანერგვას, მათში ეროვნული სულისკვთების ჩაკვლას ემსახურებოდა. ეს საზოგადოებები იყო: „საეპარქიო სამისიონერო მძობა“, „პატრიოტული საზოგადოება“, „წესრიგის მომხრეთა პარტია“, „რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოება“. ამ საზოგადოებათა საქმიანობაში აშკარად გამოიკვეთა საეკლესიო ანტიქართული, კონტრარევოლუციური საქმიანობა და მათი კავშირი ოფიციალურ ხელისუფლებასთან. ჭეშმარიტად მორწმუნე, ეროვნული ინტერესების დაცვისათვის მებრძოლმა ქართველმა სამღვდლოებამ იმთავითვე ზურგი აქცია ამ ორგანიზაციებს და თავისი საქმიანობის უპირველეს მიზნად ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალური უფლებების მოპოვება დაისახა. ქართველმა ხალხმა უნდობლობა გამოუცხადა შარბაზული რელიგიური ორგანიზაციების მოწოდებასა და აგიტაცია-პროპაგანდას, რადგან რელიგიური მორჩილების, საყოველთაო მშობისა და სიყვარულის ქადაგების ნიღბის ქვეშ არ გასჭირვებია რუსული შოინისტური და იმპერიული მისწრაფებების ამოკითხვა.

თავი მეხამე — „ქართველი საზოგადოებრიობის ბრძოლა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის“ (42-120).

პირველ პარაგრაფში — „ქართველი სამღვდლოება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში“ (42-65) განხილულია ქართველი სამღვდლოების ბრძოლა საქართველოს ეკლესიის განთავისუფლებისათვის და მათი დამოკიდებულება რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისადმი.

სასულიერო ხელისუფლების მიერ განზორციელებული უხეში საეკლესიო პოლიტიკის შედეგად საქართველოს ეკლესიისათვის ეროვნული ნიადაგის გამოცლამ, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მოშლამ, ეკლესიის ბიუროკრატიულ დაწესებულებად გადაქცევამ და ქართველ ხალხში მისი ავტორიტეტის დაკარგვამ, სამღვდლოებისა და მრევლის გამოჯვანამ, ქართულ ეკლესიას დაუკარგა ის უმთავრესი ფუნქცია, რაც მას ისტორიულად გააჩნდა. 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში საქართველოს ეკლესიის საფრთხე კიდევ უფრო აშკარა გახდა, რადგან ხელისუფლება შეეცადა მიმდინარე რევოლუციის წინააღმდეგ ეკლესიის შესაძლებლობების ყოველმხრივ გამოყენებას და მისთვის იდეოლოგიური საყრდენის როლის შენარჩუნებას იმპერიის გადასარჩენად.

ქართველმა საზოგადოებრიობამ იმთავითვე იგრძნო ის საფრთხე, რომლის წინაშეც საქართველოს ეკლესია აღმოჩნდა, შეეცადა არსებული ვითარების გამოყენებას საეკლესიო პრობლემის გადასაჭრელად და 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა უმწვავეს პრობლემათაგან ეს საკითხი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესად მიიჩნია. საქართველოს ეკლესიის გადასარჩენად, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა ქართველი



სამღვდელოება ამოძრავდა, ავტოკეფალიის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავეით დააყენა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად აქცია. მართლაც, ქართველთა სასულიერო ფენა საქართველოში რუსეთის გაბატონებიდან და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებიდან მოყოლებული მდგრად იბრძოდა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ავტოკეფალური ეკლესიის აღდგენისათვის, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში აზვირთებულმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ ქართველ სამღვდელოებას მიზნის მიღწევის რეალურობის იმედი გაუჩინა და იგი 1905-1907 წლების რევოლუციაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ავანგარდში აღმოჩნდა. ქართველი სამღვდელოება უპ. ყოვლისა ეკლესიის შერყეული ავტორიტეტის, სამღვდელოების ფენაში ფეხმოკიდებული უმცაგავსობებისა და ნაკლოვანებების შეცნობას შეეცადა, წარსულში საქართველოს ეკლესიის ფუნქცია და აწმყით მისი სავალალო მდგომარეობა გააცნობიერა. ქართველი სამღვდელოება თვითონვე ამხელდა გადაგვარების გზაზე დამღვარ თავისსავე წოდების წარმომადგენლებს. მიუხედავად რუსული საეკლესიო პოლიტიკის შედეგად ავტორიტეტის გარკვეული შელაზვისა, სამღვდელოება მაინც დიდ საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენდა და თავისი სიტყვის მნიშვნელობაც კარგად ჰქონდა შეგნებული. არც მთავრობის პოლიტიკის გატარებაში გამოუჩენია დიდი აქტიურობა და ამ თვალსაზრისით რუსეთის იმპერიაში ქართველ სამღვდელოებას სულ უკანასკნელი ადგილი ეკავა. მათ მიერ დაწვებული მოძრაობის მოზანიც იმთავითვე გამოიკვეთა - სამღვდელოებას პროგრესული განვითარების გზა უნდა ჰქვენებინა ერისათვის, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში შეუპოვრობისა და გაბეღულების მაგალითი უნდა მიეცა. ქართველმა სამღვდელოებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა დაიასა უპირველეს მიზნად, - მიიჩნია რა იგი ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ გადადგმულ ნაბიჯად, დააყენა ეს მოთხოვნა და დაიწყო ბრძოლა საზოგადოების სხვადასხვა ფენებთან თანამშრომლობით ამ იდეის განსახორციელებლად.

ქართველმა სამღვდელოებამ ორჯერ შეადგინა პეტიცია მიმართული უმაღლეს ხელისუფალთადმი. პირველი - 1905 წლის მარტში, ხოლო მეორე - იმავე წლის მაისში. პეტციებში გაანალიზებული იყო საქართველოს ეკლესიაში შექმნილი სავალალო მდგომარეობის მიზეზები. ხსნის ერთადერთ გზას ავტოკეფალიის აღდგენაში ზეღავდა ქართველი სამღვდელოება და გადაჭრით ითხოვდა მის განხორციელებას. უნდა აღდგენილიყო აგრეთვე ღვთისმსახურთა არჩევითობის ტრადიცია. სამღვდელოება მოითხოვდა სასკოლო რეფორმას, სიტყვის, ბეჭდვის, კრების თავისუფლებას, სამღვდელოებისათვის ყველა იმ სამოქალაქო უფლების მინიჭებას, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოძღვრობის იდეას; სასულიერო უწყების და მთავრობის პოლიტიკისადმი სამსახურისაგან, აგრეთვე ყოველგვარი სამოხელეო და საკანცელარიო მოვალეობისაგან განთავისუფლებას. პეტციებში სამღვდელოების შემოსავლის წყაროდ კვლავ სახელმწიფო ფაბრიკი იყო დასახელებული. მრევლზე მისი მატერიალური დამოკიდებულება კი უეჭველად უნდა გაუქმებულიყო. ქართველი სამღვდელოება ავტოკეფალიასთან ერთად სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამიჯვნის დემოკრატიული მოთხოვნითაც გამოდიოდა, ამასთან, მოითხოვდა ჩამორთმეული საეკლესიო მამულების დაბრუნებას. ქართველი სამღვდელოება ითხოვდა კათალიკოსთან წმინდა სინოდის დაფუძნებას (კათალიკოსის თავჯდომარეობით), ხოლო ეპარქიის მღვდელმთავრებთან - საბჭოებისა, რომლებიც გარკვეული ვადით არჩეულ სასულიერო და საერო პირთაგან იქნებოდა დაკომპლექტებული. კათალიკოსთან არსებულ წმინდა სინოდს უნდა დაექვემდებარებოდა ყველა ეკლესიის, მონასტრის, სამღვდელოების, სასწავლო-სასულიერო და საქველმოქმედო დაწესებულების მართვა-გამგეობა.

ხელისუფლება სამღვდელოების შეუპოვარ გამოსვლებს უმკაცრესი რეპრესიებით პასუხობდა, განსაკუთრებით სდევნიდა სამღვდელოების თავყრილობებს. ქართველი სამღვდელოების მიმართ თვითმპყრობელობის რეპრესიებმა უმაღლეს ზღვარს 1905 წლის 31 მაისს მიაღწია, როდესაც უხეშად იქნა დარბეული ეპარქიის სამღვდელოების ყრილობა



თბილისში. ეგზარქოსის უშუალო განკარგულებით თბილისის სასულიერო სემინარიის მნიშვნელოვანი შეკრებილ სამღვდელთა სასტიკად გაუსწორდნენ, მათრახებით სცემეს და ძალით გამოიძვინეს შენობიდან. ქართველი სამღვდელთა წარმომადგენლებმა მიუხედავად იმისა, რომ 31 მაისი ყველაზე ტრაგიკული ფურცელი იყო მათ მიერ წამოწყებული მოძრაობის ისტორიაში, ამ დღის მნიშვნელობის უჭველობაც აღიარეს - 1905 წლის 31 მაისმა ბიუროკრატიის საზღვარგარეთ ჩამოშორა ქართველი სამღვდელთა ის მცირე ნაწილიც, რომელიც თავისი გაუცხოობითა და პოლიტიკანთა თვალთმაქცობის წყალობით ჯერ კიდევ ხელისუფლების გვერდით იდგა.

რეპრესიების მიუხედავად ქართველი სამღვდელთა უკან დახევას არ აპირებდა. 1905 წლის დეკემბერში სრულიად საქართველოს სამღვდელთა დელეგატა კრებამ ავტოკეფალიის პროექტი შეიმუშავა, სადაც სავსებით ჩამოყალიბებული სახითაა მოცემული ავტოკეფალიის შინაარსი. ეკლესია აღიარებულია სახელმწიფოზე მაღლა მდგომ მარადიულ, ზეკლასობრივ დაწესებულებად, ამიტომ პროექტის ავტორთა აზრით ეკლესია აუცილებლად უნდა გამოიყვანოს სახელმწიფოს. მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული როგორც უნდა ყოფილიყო საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის წეს-წყობილება, განსაზღვრული იყო მისი ტერიტორია, ეპარქიებზე დაყოფის, მართვა-გამგეობის, სხვა ავტოკეფალურ ეკლესიებთან ურთიერთობის პრინციპები, ეკლესიის ქონებრივი უფლებანი და სამღვდელთა რჩენის წესი. აღიარებული იყო სამღვდელთა და მრევლის ფართო საარჩევნო უფლებები. პროექტით საქართველოს ეკლესიას უნდა დაბრუნებოდა 1853 წელს ჩამორთმეული მამულები, ხოლო დაბრუნებამდე დროებით სამღვდელთა სათვისტომოს ვამაგირი სახელმწიფოს უნდა ეძლია, მამულების დაბრუნების შემდეგ კი ეს უხერხული მდგომარეობაც უნდა მოსპობილიყო. პროექტის ავტორები აღიარებდნენ, რომ სამღვდელთა უნდა ინახავდეს მხოლოდ ის, ვისაც იგი ემსახურება, ე. ი. მრევლი, საჭიროა მრევლმა თვითონ უზრუნველყოს თავისი კრებული, საქართველოს ეკლესიამ - თავისი სამღვდელთა. ეს პროექტი გარკვეულ ხარვეზებსაც შეიცავდა. პროექტის მიხედვით ავტოკეფალია ძალაში უნდა შესულიყო არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული მნიშვნელობით. პროექტის ამ ხარვეზის შესახებ იმთავითვე აღნიშნა ეპისკოპოსმა ლეონიდემ (ოქროპირიძე) და ეროვნების მიხედვით ავტოკეფალური ეკლესიის სამწყსოს შედგენის მსოფლიო საეკლესიო კანონებისათვის შეუსაბამობის და მიუღებლობის შესახებ მიუთითა.

როგორც ჩანს, სამღვდელთა ნივთიერი უზრუნველყოფის წყაროებთან დაკავშირებით ერთნაირი მოსაზრება არ ყოფილა არც სამღვდელთა და, არც საზოგადოების სხვა ფენათა წრეებში. ამ საკითხის ირგვლივ უამრავი ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრება გამოითქვა. ერთნი - მატერიალურად სამღვდელთა სახელმწიფოზე დამოკიდებულების მომხრენი იყვნენ, მეორენი კი - მრევლზე; იყო მოსაზრებაც, რომ ეკლესიის მსახურნი სრულიად თავისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ ყოველგვარი ვარეშე ვავლენისაგან. მათ არც სახელმწიფოს და არც მრევლის მხრიდან მიჩნდათ ზნეობრივად მოძღვართათვის მღვდელთა მსახურებისათვის საფასურის გადახდა. მაგალითად მღვდელი ილარიონ ჯამბაძე „საკლესიო ფონდის“ დაარსების იდეით გამოდიოდა. ფონდის შექმნის წყაროების მოძიების აუცილებლობის შესახებაც შეასწავლდა სამღვდელთა. ჯამბაძე, მისი აზრით, სწორედ ამ ფონდიდან უნდა მიეღოთ ღვთისმსახურთ.

ავტოკეფალიისათვის მებრძოლმა ქართველმა სამღვდელთა საკუთარი ორგანოც დააარსა. გაზეთი „სიტყვა“ იყო ის ტრიბუნა, სადაც ისინი საკუთარი იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ. გაზეთი 1906 წლის მაისში დაარსდა და სულ 14 ნომერი გამოვიდა, მაგრამ მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მარტო ავტოკეფალური მოძრაობის გააქტიურებასა და ხალხში ეროვნული ეკლესიის აღდგენის რწმუნის განმტკიცებაში, არამედ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების პროგრესული და დემოკრატიული პოზიციიდან გაშუქებაში, ამ საკითხისადმი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში.

საქართველოში დაწყებულმა მძლავრმა ავტოკეფალურმა მოძრაობამ სინოდი აიძულა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე ემსჯელა და გარკვეული კომპრომისული



გადაწყვეტილებებით ქართველი სამღვდლოება დაემოშინებინა. იმპერატორმა ნიკოლოზ II სპეციალური ბრძანებით სინოდის ობერ-პროკურორის II ავეისტოს მოხსენებითა და იმ შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც საქართველოს ეგზარქოსად ყოფილი ნიკოლოზის მეშვეობით აღძრეს ქართველმა ეპისკოპოსებმა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი განსახილველად გადასცა „სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებას“. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე სინოდში მსჯელობა იყო 1906 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე წინასაკლესიო კრების II განყოფილებაში. საკითხის განხილვაში ქართველთაგან მონაწილეობდნენ ეპისკოპოსები: კორიონი და ლეონიდე, აგრეთვე გორის ეპისკოპოსი ექვთიმე (ელიაშვილი); პროფესორები: ალ. ცაგარელი, ნ. მარი, ალ. ზახანაშვილი. მათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გასაშუქებლად საზოგადო სხდომების დროს წაიკითხეს მოხსენებები.

1906 წლის გაზაფხულზე სინოდის კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც ქართველი ეპისკოპოსები არ ესწრებოდნენ სასულიერო ხელისუფალთ საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის ეროვნული მნიშვნელობით მინიჭება განუზრახავთ. ქართველი სამღვდლოების დაემოშინებას ქართველი ეგზარქოსის დანიშვნის დაპირებითაც შეეცადა სინოდი. პეტერბურგში მყოფ ქართველ ეპისკოპოსებსაც არაერთგზის შესთავაზეს საკითხის ამგვარად მოგვარება და კირიონს ეგზარქოსის თანამდებობაზე დანიშვნასაც აღუთქვამდნენ. ამასთან სინოდალური კანტორის ძირეულ რეფორმას და მნიშვნელოვანი საკითხების ადგილზე გადაწყვეტის უფლების მინიჭებას, ქართული ენის სწავლების პროგრამის გაფართოებას, ეპისკოპოსების უფლებამოვალეობების გაზრდას და მათთვის სასურველი ყოველგვარი რეფორმის მოხდენის იმედებს იძლეოდნენ ისინი გარდა ავტოკეფალიისა.

სინოდის ყოველ ახალ განკარგულებას საქართველოს ეკლესიის მოწყობის შესახებ ქართველი სამღვდლოება ერთსულოვანი პროტესტით ეგებებოდა. ქართველი ეპისკოპოსების ობერპროკურორთან უშუალო ვიზიტების, სინოდის სხდომებზე მათი ფუჭი დავა-კამათის შემდეგ, ქართველი სამღვდლოება საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ხელისუფლება საქართველოს ეკლესიის სასარგებლოდ არავითარ ნაბიჯს არ გადადგამდა. მიზნის მიღწევას მხოლოდ ერთსულოვანი ბრძოლით და დაუმორჩილებლობით შესძლებდნენ. სამღვდლოების ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი საქართველოში ახალი ეგზარქოსის გაწესების უამს მიიღო. სინოდის სხდომებზე ქართველი მღვდელმთავრებისა და მეცნიერების ძალისხმევას შედეგი არ მოჰყოლია. წინასწარმა კრებამ ავტოკეფალიის საკითხი დაღბითად არ გადაწყვიტა და მიუხედავად ქართველი სამღვდლოების პროტესტისა საქართველოში ახალი ეგზარქოსის – ნიკონის დანიშვნის გადაწყვეტილება მაინც მიიღო. ამ გადაწყვეტილებამ ქართველი სამღვდლოების საპროტესტო გამოსვლა გამოიწვია. მაგრამ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა საქართველოს ეკლესიის გადარჩენის შესაძლებლობებს თანდათანობით მინიმუმამდე ამცირებდა. რევოლუცია დაღმავლობის გზაზე იდგა და სასულიერო ხელისუფალნი უკვე იმ დათმობებზე წასვლასაც აღარ აპირებდნენ, რომელსაც ცოტა ხნის წინ სთავაზობდნენ ქართველობას და, რომელსაც გადაჭრით უარყოფდა ქართველი სამღვდლოება. რევოლუციის მარცხის შემდეგ კი ავტოკეფალური მოძრაობის მესვეურნი რეპრესიების მსხვერპლი შეიქნენ.

რევოლუციის პერიოდში ქართველი სამღვდლოების უდიდესი ნაწილი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში აღმოჩნდა, მაგრამ სამღვდლოების წრეებში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ხელისუფლების სამსახურს ამჯობინებდნენ და მიმდინარე რევოლუციაში ჯაშუშობის ფუნქციასაც კისრულობდნენ, მათ მიმართ ეროვნული იდეალებისათვის მებრძოლი ქართველი სამღვდლოება აშკარად გამოხატავდა სიძულვილს. ხელისუფლების მხრიდან კი მათ ჯილდოები და მალალი თანამდებობები ჰქონდათ გარანტირებული. მიუხედავად ამისა, ასეთ მღვდლოთარიცხევი საქართველოში უმნიშვნელო იყო. ქართველი სამღვდლოების დიდი უმრავლესობა



წამოწყებულ ბრძოლაში იყო ერთსულოვანი და შეუპოვარი. ცდილობდა საზოგადოების ყველა ფენა ჩაება ავტოკეფალურ მოძრაობაში და მისწრაფოდა ეროვნულ ინტელექტუალურ სფეროში სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებრიობასთან თანამშრომლობისაკენ, კარგად უწყობდა რა, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერის გარეშე ავტოკეფალიის იდეა სამღვდელეობის ვიწრო ლოზუნგად დარჩებოდა და ზორცშესხმას ვერ ჰპოვებდა. საზოგადოებრივ აზრთა მრავალფეროვნების, ეროვნული და სოციალური იდეების ანტაგონიზმის ვითარებაში ქართველი სამღვდელეობა გონივრული ნაბიჯებით ცდილობდა ქართული საზოგადოებრივი აზრი ეკლესიის ავტოკეფალიის იდეის სასარგებლოდ განეწყო.

სამღვდელეობის მისწრაფება სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობისაკენ გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ქართველ სამღვდელეობას კარგად ჰქონდა შეგნებული, ერთის მხრივ, არსებული კოლონიური რეჟიმის პირობებში ერთიანი ეროვნული სხეულის შენარჩუნების აუცილებლობა, ხოლო, მეორეს მხრივ, გრძობდა პოლიტიკური პარტიების დიდ ზეგავლენას საზოგადოების ფართო ფენებზე და ცდილობდა მათი ავტორიტეტის გამოყენებას საქართველოს ეკლესიის ინტერესების დასაცავად.

1905-1907 წლების რევოლუციის მარცხმა, ქვეყანაში რეაქციის გაბატონებამ მათ მიერ დასახული მიზნის მიღწევის შესაძლებლობები შეამცირა, მაგრამ ქართველი სამღვდელეობის ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის რევოლუციის შემდგომ პერიოდშიც არ შეწყვეტილა და კვლავაც მთელი სიმძაფრით მიმდინარეობდა.

მესამე თავის მქორე პარაგრაფში - „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლი ქართველი თავადაზნაურობა“ (65-68) - ქართველ თავადაზნაურთა დეაწლია წარმოჩენილი ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის და განხილულია მათი ამ კუთხით მოღვაწეობა. მართალია ისინი 1905-1907 წლების რევოლუციამდეც ცდილობდნენ საეკლესიო საკითხებთან დაკავშირებით ხელისუფლების მხრიდან გარკვეული კომპრომიზისათვის მიეღწიათ, მაგრამ რევოლუციის დაწყების დღიდან მოყოლებული მათი მოთხოვნები სულ უფრო გაბოლოვდა, რაც გამოიხატებოდა სხვადასხვა მოთხოვნათა პაკეტის წარდგენით უმაღლეს ხელისუფლებადმი, სადაც საქართველოს ეკლესიის საკითხს გარკვეული ადგილი ეკავა და მეფისნაცვლის წინაშე მათი წარმომადგენლის - ვ. მიქელაძის ვიზიტით, რომელიც 1905 წლის 7 ოქტომბერს თავადაზნაურთა საერთო კრების გადაწყვეტილებით ეახლა ამ უკანასკნელს. ქართველი თავადაზნაურობა შუამდგომლობას თხოვდა მეფისნაცვალს უწმინდესი სინოდისა და იმპერატორის წინაშე და საქართველოს ეკლესიისათვის უკანონოდ წართმეული ავტოკეფალური უფლებების დაბრუნებას მოითხოვდა. მეფისნაცვალი ბუნებრივია, არ თანაუგრძობდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას და ქართველ თავადაზნაურთა მოთხოვნისაგან თავის დაღწევას იმ არგუმენტით ცდილობდა, რომ ეს საკითხი მის კომპეტენციაში არ შედიოდა.

ქართველმა თავადაზნაურობამ 1905 წლის 31 მაისს დარბეულ სამთავრობოებსაც გამოუცხადა სოლიდარობა და მწვავე პროტესტი გამოხატა ამ ფაქტის მიმართ. ისინი კვლავ წარუდგინენ კავკასიის მეფისნაცვალს თბილისის გუბერნიის მარშლის მოადგილის თავად ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის მეთაურობით. დეპუტაციამ მოითხოვა ამ საქმის გამოძიება და იმათი დასჯა, რომელთა მეოხებითაც ეს ფაქტი განხორციელდა.

ქართველი თავადაზნაურობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ნ. ერისთავ-შარვაშიძემ ვრცელ ნაშრომში ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები საქართველოს ეკლესიასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ავტოკეფალიის დაკარგვამ და საეკლესიო მართვა-გამგეობის ბიუროკრატიულ წესზე მოწყობამ საუკვლოდ სურათი შექმნა საქართველოს ეკლესიაში. ეკლესიისაგან ხალხის განდგომის მიზეზადაც ეს ფაქტორი მიაჩნდა, ხოლო შექმნილი ვითარებიდან ერთადერთ გამოსავლად - დაკარგული ავტოკეფალიის აღდგენა.



ქართველი თავადაზნაურობა ავტოკეფალური მოძრაობის მიზნებში ეკლესიის დამოუკიდებლობასთან ერთად ქვეყნის დამოუკიდებლობის განხორციელების მიზნებშიც ხელაწყო და ძალისხმევას არ ზოგავდა, რათა დაწყებული ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინებულიყო.

მესამე თავის მესამე პარაგრაფში - „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მოღვაწე ქართველი მეცნიერი“ (68-81) - გაშუქებულია ცნობილი ქართველი მეცნიერების ალ. ცაგარელის, ი. ჯავახიშვილის, ნ. მარის, ალ. ხახანაშვილის, თ. ჟორდანიას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ძალისხმევა არა მხოლოდ მეცნიერული ნაშრომებით, არამედ პრაქტიკული საქმიანობითაც. ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლაში საქართველოს ეკლესიის ისტორიის ჭეშმარიტ გაშუქებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ, საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევა და მისი სამზოზე გამოტანა უაღრესად აქტუალურ პრობლემად იქცა XX საუკუნის დასაწყისში. რუსეთის საერო თუ სასულიერო ზემოქმედებით რუსი სწავლულის მიერ ხელის შეწყობით ყოველმხრივ ცდილობდნენ იმ აზრის დასაბუთებას, რომ საქართველოს ეკლესიას არასოდეს ჰქონია სრული დამოუკიდებლობა და ყოველთვის ანტიოქიის პატრიარქის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამით ისინი საქართველოს ეკლესიის კვლავაც ავტოკეფალიის გარეშე არსებობის გამართლებას ცდილობდნენ. ზემოაღნიშნულმა ქართველმა მკვლევარებმა დიდი წვლილი შეიტანეს ავტოკეფალიის ირგვლივ ატეხილი სადაო საკითხების გაშუქება-განმარტებაში. მათ კარგათ ჰქონდათ გაცნობიერებული ის გარემოება, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოშლამ ერის სულიერებას, მის ეროვნულ თვითმყოფადობის გააზრებას გამოუსწორებელი დანიშნა და თავიანთი მეცნიერული ნაშრომებით საქართველოს ეკლესიის ისტორიული როლი და ფუნქცია, მისი ავტოკეფალური არსებობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები წარმოაჩინეს და მეცნიერულად დაასაბუთეს.

მესამე თავის მეოთხე პარაგრაფში - „პოლიტიკური პარტიები და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი“ (82-114) - გაშუქებულია 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში საქართველოში არსებულ ძირითად პოლიტიკურ პარტიათა დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხისადმი. ამ პერიოდში ესოდენ აქტუალური საეკლესიო საკითხი, ბუნებრივია, იმ ეტაპზე მომრავლებულ პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა ინტერესების მიღმა ვერ დარჩებოდა. მიუხედავად პოლიტიკურად მრავალფეროვანი და არაეკლესიურად განსხვავებული პოზიციებისა, ისინი ამ საკითხის სიმწვავეს ნათლად გრძნობდნენ და ამა თუ იმ საშუალებით მისი გადაწყვეტის გზებსაც სახედავდნენ. სადისერტაციო ნაშრომში წარმოჩენილია ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების პოზიცია აღნიშნული საკითხისადმი.

ავტოკეფალური მოძრაობა განსაკუთრებულ თანადგომას ეროვნულ-დემოკრატიული მიმდინარეობის წარმომადგენელთა მხრიდან გრძნობდა. ამ მხრივ, განსაკუთრებული აქტივობით თერგდალეულთა ლიდერი ი. ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლნი ი. გოგებაშვილი და ა. წერეთელი გამოირჩეოდნენ. ისინი ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ; იმედოვნებდნენ, რომ ავტოკეფალიის აღდგენა ერის წინსვლის, სარწმუნოების აღორძინებისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საფუძველი შეიქნებოდა. მათ ხმას სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ ვითარებაში, როგორშიც აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა XX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ კი, 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში. ეს ის დრო იყო, როდესაც სიტყვა „ავტოკეფალიაც“ კი უმაღლეს ბიუროკრატთა შიშის ზარს სცემდა, რადგან ეკლესიის ავტოკეფალიის მიღმა იგი საქართველოს ავტონომიის განხორციელების შესაძლებლობებს ხელაწყო და ცდილობდა ავტოკეფალიისტი საერო თუ სასულიერო პირების საზოგადოებისაგან იზოლაციას. ავტოკეფალიის წინააღმდეგ მარტო მთავრობა და მის მიერ



შექმნილი სხვადასხვა ორგანიზაცია-კავშირები როდი გამოდიოდნენ. სოციალისტური იდეების მოზღვაგების შედეგად ათეისტურად განწყობილი საზოგადოების დიდი ნაწილი უყურებდა ეკლესიის საკითხს. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოხატული ახალი თაობა გაურბოდა ასეთ „მოძველებულ“ და „არაპოპულარულ“ თემაზე ხმის ამოდებას, ხოლო თუ მაინც გაბედავდა და ხმას ამოიღებდა, უფრო ეკლესიის საწინააღმდეგოდ, ვიდრე მის სასარგებლოდ, იმის შიშით, რომ „რეტროგრადის“ ან „კლერიკალის“ სახელი არ დაემსახურებინა.

